ევროკავშირის მიერ 2007 წელს გენდერული თანასწორობის თემაზე ჩატარებული ბავშვთა ნახატების კონკურსის გამარჯვებული ქართველი გოგონა

ევროკავშირი

ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიზაციისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა

ევროკავშირს მიაჩნია, რომ დემოკრატია და ადამიანის უფლებები საყოველთაო ფასეულობებია და საჭიროა მათი აქტიური მხარდაჭერა. მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ სიღარიბის დაძლევისკენ მიმართულ საქმიანობაში, ასევე კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოგვარებაში. ამის გათვალისწინებით ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროებში. იგი იყენებს სხვადასხვა მიდგომას ცენტრალური ხელისუფლების, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეებზე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მიდგომაა უფრო ქმედითი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა - 15 მილიონი ევრო

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების სფეროში დაფინანსების ძირითადი წყაროა „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტი“, რომლის მეშვეობითაც საქართველოში 1998 წლიდან დაფინანსდა უამრავი როგორც მსხვილი, ისე მიკროპროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა:

- დაკავების ადგილებში წამების წინააღმდეგ ბრძოლას და ამგვარი მოპყრობის მსხვერპლთა რეაბილიტაციას;
- უმცირესობებისა და მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების უფლებათა დაცვას;
- ადგილობრივ და საერთო ეროვნულ საქმეებში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფას; და
- მედიის თავისუფლებას.

ევროკავშირი მხარს უჭერს არასახელმწიფო სუბიექტების საკვანძო როლს შეჭირვებული ადამიანებისა და დაუცველი სოციალური ჯგუფების დაცვაში.

ამ პროგრამის ფარგლებში, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მართლმსაჯულების სექტორში ევროკომისიის მნიშვნელოვანი დახმარების პარალელურად ხორციელდება, გამოყოფილი იქნა 15 მილიონი ევრო. პროგრამის მიზანია, განამტკიცოს საქართველოს ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების საერთო ხედვა დემოკრატიის და ადამიანის უფლებების სფეროში, ასევე, ხელი შეუწყოს ისეთი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას, რომელიც შექმნიდა ამ არსებითი პრინციპების ხორცშესხმის შესაძლებლობას.

სამოქალაქო საზოგადოების გადამწყვეტი როლი

კიდევ ერთი შედარებით ახალი პროგრამა „არასახელმწიფო სუბიექტების და ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობა განვითარებაში“ შეიქმნა იმ მიზნით, რომ ხელი შეწყობოდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შესაძლებლობების განვითარებას სახელმწიფოსთან უფრო ქმედითი ურთიერთკავშირის დამყარებაში. პროგრამა მიზნად ისახავს, განავითაროს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ქმედუნარიანობა - ჩართონ ადგილობრივი თემები მათთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს პროგრამა გულისხმობს საქმიანობას კონკრეტულ ადგილებში, განსაკუთრებით მოშორებით განლაგებულ რეგიონებში, სადაც საჭიროა არასახელმწიფო სექტორის წარმომადგენელთა გაძლიერება და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან მათი თანამშრომლობის განმტკიცება შეჭირვებული ადამიანებისთვის ძირითადი მომსახურებების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ევროკავშირმა 2008-2009 წლებში საქართველოსთვის 3,2 მილიონი ევრო გამოყო.

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა

„ევროკავშირი 27 წევრი ქვეყნისგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების მანძილზე ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ და საერთო მომავლის შესაქმნელად თავიანთ რესურსებს აერთიანებდნენ. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთად შექმნეს სტაბილური სივრცე დემოკრატიის და მდგრადი განვითარებისთვის. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლებები. ევროკავშირის ამოცანა სწორედ ამ მიღწევების და ფასეულობების გაზიარებაა მის საზღვრებს მიღმა მყოფი ადამიანებისა და ქვეყნებისთვის.“

European Union

ევროკავშირის წარმომადგენლობამ ცოტა ხნის წინ გააფორმა ცხრა ახალი კონტრაქტი ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორიც არის სოფლის მეურნეობის განვითარება, გარემოს დაცვა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის პრევენცია. ყველა ამ პროექტისთვის საერთო ის არის, რომ ისინი ყურადღებას გაამახვილებენ ადგილობრივი მოსახლეობის ქმედუნარიანობის გაზრდაზე.

ევროკავშირი მუდამ ხაზს უსვამს არასამთავრობო ორგანიზაციებთან დიალოგისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას და მუდმივ კავშირშია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. სამოქალაქო საზოგადოება ერთსა და იმავე დროს პარტნიორიც არის და ბენეფიციარიც.

კარგი მმართველობის მხარდაჭერა და მედიის გადამწყვეტი როლი

ცენტრალური ხელისუფლების დონეზე ევროკავშირი ცდილობს, გააძლიეროს კარგი მმართველობა.

წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტს დახმარება ეწეოდა როგორც მატერიალური თვალსაზრისით – აპარატურისა და ბიბლიოთეკის რესურსების მეშვეობით – ისე მისი ადმინისტრაციული პროცედურების რეფორმაში დახმარების გზით. ევროკომისიის დახმარებით – 2,2 მილიონი ევრო 2005-2009 წლებში – განახლდა, აგრეთვე, პარლამენტის ვებგვერდი.

ევროკომისიისგან ინტენსიური დახმარება მიიღო საარჩევო სისტემის ყველა კომპონენტებმაც: ევროკომისია მხარს უჭერდა საკანონმდებლო ბაზის რეფორმირების მცდელობებს, მუშაობდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებთან, ტრენინგს უტარებდა არჩევნებზე დამკვირვებლებს, რომლებიც არ განეკუთვნებოდნენ არც ერთ პარტიას. ეს სამუშაო გრძელდება 2010 წელს დაგეგმილი მნიშვნელოვანი ადგილობრივი არჩევნების მოსამზადებელ პერიოდშიც: წამოწყებული იქნა სამი ახალი პროექტი 1,9 მილიონი ევროს ბიუჯეტით.

ევროკავშირი აფინანსებს პროგრამებს და პროექტებს, რომელთა მიზანია მედიის თავისუფლების შესახებ გათვითცნობიერებულობის ამაღლება, ასევე საზოგადოების მიერ იმ ცენტრალური როლის გაგება, რომელიც მედიას შეუძლია ითამაშოს სოციალურ და პოლიტიკურ დიალოგში. სხვადასხვა პროექტის მეშვეობით 2,5 მილიონი ევროს დახმარება იქნა გაწეული დამოუკიდებელი მედიის განვითარებისთვის. ამ პროექტებს შორის იყო ტრენინგი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებისთვის, ჟურნალისტური ქსელების შექმნა და საქართველოს საზოგადოებაში მედიის მაკონტროლებელი როლის განმტკიცება. ეს პროექტები ასევე მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის მაღალი ხარისხის, პროფესიონალური, დამოუკიდებელი ინფორმაციის მისაწვდომობის გაზრდას; განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საგამოძიებო ჟურნალისტიკაზე.

დაუცველი ადამიანების უფლებები

2008 წელს ევროკავშირმა დააფინანსა პროექტი „ახალგაზრდა იურისტები სამოქალაქო, სოციალური და ეკონომიკური უფლებებით უკეთ სარგებლობისთვის“, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახორციელებს. პროექტი უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას თბილისის ცენტრალური და თელავის, დუშეთის, რუსთავის, გორის, ქუთაისის, ოზურგეთისა და ბათუმის შვიდი რეგიონული ოფისის მეშვეობით. ამ ცენტრების საშუალებით ასოციაცია დახმარებას უწევს მოქალაქეებს ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის სფეროში, სასამართლო სარჩელების თუ ადმინისტრაციული საჩივრების მომზადებაში. 2009 წლის ივლის-აგვისტოში საქართველოს სამოქალაქო სასამართლოში 23 საქმე იქნა წარმატებით განხილული. დაცული იქნა დაუცველი ადამიანების ძირითადი უფლებები.

ლალი და მისი სამი შვილი იძულებულნი იქნენ, სახლიდან წასულიყვნენ ლალის ქმრის ხშირი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო. მათ არ ჰქონდათ შემოსავლის სხვა წყარო, გარდა ნათესავების მატერიალური დახმარებისა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაეხმარა მათ სახლის და იმ მიწის ნაწილის დაბრუნებაში, რომელსაც ისინი ნაწილობრივ ფლობდნენ და სადაც ქმარი არ უშვებდა. ლალი ამბობს: „გაწეული დახმარების წყალობით ვგრძნობ, რომ მე და ჩემს შვილებს გვაქვს ნორმალური ცხოვრების უფლება. ახლა ჩვენ მომავალი გვაქვს“.

თავისუფალი მედია უზრუნველყოფს უფრო სარწმუნო და ხელმისაწვდომ ინფორმაციას. ამ სექტორისთვის ევროკომისიამ გასული სამი წლის განმავლობაში 2,5 მილიონი ევრო გამოყო.

ევროკომისია მხარს უჭერს და მომავალშიც დაუჭერს სამოქალაქო საზოგადოების უფრო აქტიურ ჩაბმას საქართველოს მოსახლეობისთვის ძირითადი მომსახურებების მიწოდებაში.

ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში
ნინო ჩხეიძის 38
თბილისი 0102,
საქართველო
ტელ.: (995 32) 943763
ფაქსი: (995 32) 943768
DELEGATION-GEORGIA@
ec.europa.eu
www.delgeo.ec.europa.eu